პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი, 10 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 494 ქ. მ. ღ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## 1902 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის.

ამ დღეებში, როგორც საქართველოში ისე დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში, მოხდება 1902 წელში დაბადებულთა გაწვევა წითელ-ჯარის რიგებში.

ზედმეტია წერა იმაზედ, თუ რა განსხვავებაა ჩვენს წითელ-ჯარსა და მეფის ჯარსა თუ დანარჩენ კაპიტალისტურ არმიებს შორის, რომლებიც ემსახურებიან იმპერიალისტებს თავის ზრახვების სისრულეში მოსაყვანად.

ეხლა ჩვენ სულ სხვა გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის დღითი დღე განმტკიცების გამო ბევრს გონია, რომ აცილებულია ომის საფრთხე, რომ თავდაცვის ამოცანები არ არიან მთავარ ყურადღების ღირსი, რომ დღეს მთელი ძალღონე უნდა მივმართოთ სამეურნეო, ეკონომიურ აღორძინების საქმისაკენ.

ასე ფიქრი და მსჯელობა დიდი შეცდომაა. ვინც ასე ფიქრობს ის არ იცნობს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას. და სწორეთ ეს შეცდომა უნდა განუმარტოდ და აუხსნათ ჩვენს რიგებში მომავალთ ახალწვეულებს და საერთოდ მუშებს და გლეხებს.

საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნების შორის ყოველ წუთს მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება. მართალია საბჭოთა კავშირი ცნობილია მრავალ სახელმწიფოების მიერ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ ეკონომიურ აღმშენებლობას შეუწყობს ხელს. კაპიტალისტური ქვეყნები აწარმოებენ ჩვენთან ვაჭრობას, მაგრამ მათ არც ერთი წუთით არ ავიწყდებათ, ისე, როგორც ჩვენ, რომ ისინი კაპიტალისტებია, რომ ჩვენ სოციალისტური სახელმწიფო ვართ. ისინი ჩვენი სიყვარულით კი არ მოდიან ჩვენთან, არამედ მათი ეკონომიური ინტერესები მოითხოვს ჩვენთან ვაჭრობას. ჩვენ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტურ ქვეყნებით და ამიტომ ჩვენ მუდამ მზათ უნდა ვიყოთ ყოველგვარ გართულებულ მდგომარეობის შესაფერად შესახვედრათ.

უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ქვეყნების მიერ ჩვენს წინააღმდეგ ჩადენილ მრავალ შემთხვევებს ქონდა ადგილი. ინგლისელ ბანკირების მემორანდუმი, რუმინეთის მიერ უარის თქმა ბესარაბიის განთავისუფლებაზე, პუანკარეს ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში, იაპონიის ავანტიურა შორეულ აღმოსავლეთში, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და სხ. სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა გადიდება. უკანასკნელ დღეებში კი თავხედური უსაფუძვლო თავდასხმა ფაშისტების მიერ ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე გერმანიაში.

ეს საშიშროება სუსტია, მაგრამ ის მაინც არსებობს. და უფრო შესუსტდება თუ ჩვენი წითელი არმია ძლიერი და შეგნებული იქნება. აი რატომ ჩვენს ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს წითელი არმიის განმტკიცება.

აქეთკენ უნდა მივაქციოთ ჩვენ ახალ წვეულთა ყურადღება. აუხსნათ მათ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, წითელი არმიის დანიშნულება და ამოცანები. იმათმა ნათლად უნდა შეიგნონ, რომ წითელი არმია არის არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების დამცველი არმია, არამედ ის არის სოციალისტური არმია, ყველა ქვეყნების მაშვრალთა მეგობარი და დამცველი.

ჯარში გაწვევის კომპანია ბრწყინვალედ უნდა ჩავატაროთ. ზემოაღნიშნულ მდგომარეობის გარკვევის შემდეგ, ჩვენ იმედი გვაქვს, არც ერთი გლეხის და მუშის შვილი 1902 წ. დაბადებული არ გაექცევა წითელ ჯარის რიგებს.

ახალწვეულებისაკენ! აი ჩვენი დღევანდელი მთავარი ამოცანა.

# რადიო-დეპეშები

— 7 მაისს საღამოს თავი მოიკლა სრულიად საბჭ. რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ამხ. ლუტოვინოვმა.

— მაკდონალდმა სიჩუმით უპასუხა თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე სსრკ-ს მიერ ინგლისის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ.

— გერმანიაში არჩევნების შემდეგ რეიხსტაში ძალთა თანასწორობის გამო შესაძლებელია დიდი კრიზისი.

## ამხ. ვოროვსკის მოკვლის წლის თავზე

დღეს, 10 მაისს, შესრულდა ერთი წელიწადი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის იტალიაში ამხ. ვოროვსკის მოკვლის დღიდან.

შარშან ამ დროს ლოზანაში შვიდი ტყვიით მოკლული იქნა ამხ. ვოროვსკი და დაჭრილი ორი მისი მდივანი-არენსი და დივილკოვსკი.

ამხ. ვოროვსკის ცხედარი მოასვენეს მოსკოვში და დაასაფლავეს წითელ მოედანზე.

**დახასიათება ამხ. ვოროვსკის.**

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. განეცკი, რომელიც პირადათ იცნობდა ამხ. ვოროვსკის, ასე ახასიათებს მას: „ბიოგრაფია ვოროვსკის მჭიდროთ არის დაკავშირებული ბოლშევიზმის განვითარებასთან რუსეთში. ამხ. ვოროვსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა რევოლიუციონურ პროლეტარულ მოძრაობას. 19 წლის ჭაბუკი 1891 წ. მხურვალე მონაწილეობას იღებს სტუდენტების მოძრაობაში მოსკოვში. 1896 წ. ნიკოლოზის ტახტზე ასვლის დროს მას ჟანდარმერია ასახლებს ვოლოგდის გუბერნიაში. იმავე წელს ვოროვსკი ბრუნდება გადასახლებიდან მოსკოვში და ხდება სოციალ დემოკრატიულო წრის აქტიური წევრად. მას ხელ ახლად აპატიმრებენ და ასახლებენ სამი წლით, საიდანაც ის გარბის ევროპაში.

განხეთქილების შემდეგ ის რჩება ლენინთან ერთად ბოლშევიკების რიგებში. ლენინი დიდათ აფასებდა ვოროვსკის ნიჭს, როგორც მარქსიზმის კარგად მცოდნეს და ლიტერატორს. თავის სტატიებს ის სწერდა: შვარც, ორლოვსკი, ადამოვიჩის და სხვა ფსევდონიმით.

**კაპიტალისტურ „დიპლომატიის" მსხვერპლნი**

დიპლომატიურ მუშაობის დროს ვოროვსკი არ იყო პირველი მსხვერპლი. პირველი მაგალითი მოხდა 1919 წ. იანვარს პოლონეთში, როცა პოლონეთიდან გადმოსახლებულ წითელი ჯვრის მისიის წევრნი ამხ. ამხ. ვესელოვსკი, კოტცმანი, მარია ალტერი და აივაზოვი იქნენ მოკლულნი გზაში მთავრობის აგენტების მიერ.

1919 წ. ამხ. კოლომიცევი, რომელიც იყო გაგზავნილი თეირანში, შეიპყრეს ამიერ კავკასიაში თეთრგვარდიელებმა და ინგლისელების დახმარებით დახვრიტეს კუნძულ ანურადეში.

უკანასკნელი მსხვერპლი იყო ამხ. ნეენევი, რომელიც ფინლიანდიის საზღვარზე იქნა მოკლული.

ამხ. ვოროვსკის სიკვდილის შემდეგ, ველარ გადაიტანა ქმრის დაკარგვა და გარდაიცვალა მისი მეუღლე. ვოროვსკის დარჩა 15 წლის ქალი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და პენსიას ღებულობს 17 ხარისხით.

**ძეგლი ვოროვსკის.**

საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატების თანამშრომელთა ინიციატივით და მათი საშუალებით დაედგა ამხ. ვოროვსკის ძეგლი საგარეო კომისარიატის წინ, რომელიც გახსნილი იქნება 10 მაისს.

## საბჭოთა კავშირი.

**ამხ. ლუტოვინოვის თვითმკვლელობა.**

7 მაისს საღამოს რევოლვერით თავი მოიკლა ცაკისა და სრულიად კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა ლუტოვინოვმა.

თავის მოკვლის მიზეზები ირკვევა. ამხ. ლუტოვინოვთან დაახლოებულები ამბობენ რომ ამ უკანასკნელ ხანებში ის იმყოფებოდა ნერვიულ მდგომარეობაში, თუმცა შეუძლებელი იყო გვეფიქრა მისი მდგომარეობის ასეთი დაბოლოებაო.

**ბეჭვდითი საქმის მუშაკთა ცებიუროს პლენუმი.**

ბეჭვდითი საქმის სექციის მუშაკთა ცებიუროს პლენუმზე გამოირკვა, რომ გაზეთების ტირაჟი მთელ ს. ს. რ. კ. ამ უკანასკნელი წლის განმვლობაში გადიდდა 27 პროც. რომელიც აღწევს 2 ნახ. მილიონ ეკზემპლიარს ყოველდღიურად, ამნაირად ომამდე არსებულ ნორმას აღწევს. სახელმწიფო სუფსიდიას აძლევს საგუბერნიო გაზეთებს 5 პროც. გლეხთა გაზეთებს 20 პროც. ნაციონალურ გაზეთებს 75 პროც.

წიგნის პროდუქცია უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიზარდა ორჯერ. გამომცემლობათა უმრავლესობა მოგებას იძლევა. კერძო გამოცემები მთელ გამოცემათა 2 პროც. შეადგენს.

## ჩვენ და ისინი

**რუსეთის წარმომადგენლობის შენობა.**

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნაზე დაეცალით ყოფილი მეფის რუსეთის წარმომადგენლობის შენობა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობისათვის, თეთრგვარდიელებმა განაცხადეს, რომ შენობა წარმოადგენს კერძო საკუთრებას და არ ეკუთვნის ს. ს. რ. კავშირის მთავრობას. ინგლისის კანონების ძალით მთავრობას ნება არა აქვს ძალით გამოსახლების, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მრჩეველმა განაცხადა რომ ყოფილი მეფის მთავრობის კერძო საკუთრება არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც არსებული საბჭოთა მთავრობის საკუთრება.

**მაკდონალდი სიჩუმით უპასუხებს.**

თემთა პალატაში მაკდონალდმა არ გასცა პასუხი შეკითხვაზე, ჰფი-

## ამხ. ვოროვსკის ხსოვნას.

დღევანდელი დღე ამხ. ვოროვსკის მოკვლის დღის წლის თავია. ეს დღე საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს მუშათა კლასს მწვავედ აგონებს მისი კლასიურ მტრის, ბურჟუაზიის არსებობას, რომელიც არავითარ ზომას და საშუალებას არ ერიდება პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამხ. ვოროვსკი არა პირველი და უკანასკნელი მსხვერპლია გაშმაგებულ კლასიურ-პოლიტიკურ ბრძოლისა. ვერც ამხ. ვოროვსკის, როგორც დიპლომატიურ წარმომადგენელის, იმუნიტეტმა (ხელშეუხლებლობამ) ვერ იხსნა ის ფაშისტის ბნელ ტყვიისაგან. ამხ. ვოროვსკის სიკვდილი დიდი ეტაპი იყო, დამახასიათებელი იმ ბრძოლის, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა კავშირის და საერთოდ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის წინააღმდეგ გაერთიანებულ ფრონტით მსოფლიო ბურჟუაზია. ბურჟუაზიამ სცადა რა უნაყოფოდ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება შინაურ აჯანყებით, გამოსვლებით და ინტერვენციით, მან გადასწყვიტა, მისი მშვიდობიანი გზით დამორჩილება, ესარგებლა შინაურ ეკონომიურ გამწვავებით. ამ მიზნებისათვის იქმნა მოწვეული გენუის კონფერენცია. აქ საბჭოთა კავშირი არ დასთანხმდა მისთვის მიუღებელ პირობებზე. ის, დაეყრდნო საკუთარ ძალებზედ. მან კიდევაც შესძლო თავი დაეღწია ფინანსიურ და ეკონომიურ კრახისაგან. მისი საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა. ამ დროს იქნა მოკლული ქ. ლოზანაში თანახმად ევროპის ბურჟუაზიულ ჰონოვართა ბრძანებისა, ფაშისტების მიერ ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ამხ. ვოროვსკი. ეს მკვლელობა და კერზონის ცნობილი ნოტა, რომელმაც წარმოუდგენელი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასში. მომასწავებელი იყო იმპერიალიზმის მთლიან ფრონტით შემოტევისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მას შემდეგ განვლილ წელმა ბევრი რამ შესცვალა.

პოლიტიკურ ფრონტზე აღარ მოსჩანს კერზონი და მისი ამყოლნი. კერზონის ყმედ ნოტების მაგიერად —დღეს მშვიდობიანი მოლაპარაკებაა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ლონდონში.

ამ წელმა მოგვიტანა მთელი რიგი ცნობისა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მხრივ საბჭოთა კავშირი შეიქნა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების ერთ უდიდეს ფაქტორად. მაგრამ, ყოველივე ეს არ იძლევა გარანტიას ბურჟუაზიულ სახელმწიფოების საბჭოთა კავშირთან მუდმივ მშვიდობიან ურთიერთობისა. ბურჟუაზია ბრძოლის ახალი ფორმების ძიებაშია, და ეს გაგრძელდება სანამ მთელ მსოფლიოში არ დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება.

თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრობს თუ არა მაკდონალდი აცნობოს საბჭოთა დელეგაციას, რომ საკითხი ს. ს. რ. კავშირისათვის სესხის მიცემის შესახებ არ განიხილება მანამდე, სანამ ს. ს. რ. კავშირი არ იცნობს დიდი ბრიტანეთის მოთხოვნილებებს.

### ჰოლანდია და ს. ს. რ. კ.

**არ იციან როგორ გაითეთრონ თავი.**

„ნიუვე როტერდამ კურანტე" სწერს, რომ საბჭოთა—ჰოლანდიის მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან საბჭოთა დელეგაცია მაინცა და მაინც არ აძლევს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საბჭოთა წინადადებანი არ გასცილებიან ს.ს.რ.კ,—ჰოლანდიის მიერ ცნობის მოთხოვნის ფარგლებს იურიდიულად. მიუხედავად ამისა მეორე ჰოლანდიური გაზეთი „ალგემინ ხოლდელსბლად" სწერს, რომ მოლაპარაკების დროებით შეწყვეტა მოხდა საბჭოთა დელეგაციის მიერ მოულოდნელად სესხის მოთხოვნის გამო.

### შვეცია და საბჭოთა რუსეთი.

**ბურჟუაზიული და პროლეტარული არმიები.**

კომპარტიის მიერ სტოკჰოლმში გამართულ კრებაზე, სვენ გედინი თავის მოხსენებაში გამოვიდა შვეციის შეიარაღებულ ძალთა შემცირების წინააღმდეგ, რადგან სსრ კავშირი ადიდებს თავის არმიას სამსახურის ვადის გაგრძელებითო. სვენ გედინს მიაჩნია, რომ მოსალოდნელია საშიშროება სსრ კავშირებისაგანო, რომელიც მიისწრაფვის ზღვის სანაპიროებისაკენ და სურს ბოლშევიზმის გავრცელება იარაღის საშვალებით.

კომუნისტები, ჩილბუმი და ხეგლუნდი აღნიშნავდენ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის მშვიდობიანურ ხასიათს და უპირდაპირებდენ ბურჟუაზიულ მილიტარიზმს, პროლეტარულ არმიას, რომელიც არსებობს მუშათა და სოციალისტური წესწყობილების დასაცავად.

**თეთრ გვარდიელები ჩინეთში და კორეიაში.**

ჩინეთში და კორეიაში მყოფი რუსი თეთრგვარდიელები მეტის მეტ სიღარიბეს განიცდიან. ხორსინში და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მათი რიცხვი უდრის 40.000. სამხრეთ მანჯურიაში და კორეიაში 5.000. ხარბინის თეთრგვარდიელების დამხმარე საზოგადოება აუარება თეთრგვარდიელებს აგზავნის კანადაში.

### გერმანია.

**ბავარიის ლანდტაგის არჩევნები.**

ბავარიის ლანდტაგის არჩევნებში, ბავარიის სახალხო პარტიამ მიიღო 46 ადგილი, 26 სოციალ-დემოკრატებმა, 23 ტევტონურმა პარტიამ, 12 ნაციონალისტებმა, 10 გლეხთა კავშირმა, 6 კომუნისტებმა, 3 კომუნისტებმა, 3 დემოკრატებმა, 2 ცენტრის პარტიებმა და 1 ჩინოვნიკებმა.

**ტევტონთა პარტიის დევნა.**

ბავარიის ლანდტაგის დეპუტატი—ტევტონთა პარტიის წევრი ასნერი დააპატიმრეს ეკლესიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ აგიტაციის გაწევისათვის. პარტიის ბეჭვდითი ორგანო აიკრძალა სამი კვირით.

**შესაძლებელია სერიოზული კრიზისი.**

რეიხსტაგის არჩევნების საბოლოო შედეგების გამორკვევით, მემარჯვენე პარტიებმა მიიღეს 142 ადგილი. ცენტრის პარტიებმა 161 და მემარცხენეებმა 163, რეიხსტაგში ძალთა გათანასწორების გამო კოალიციონური მთავრობის შექმა შეუძლებელი ხდება. ამიტომ მოსალოდნელია სერიოზული კრიზისი.

**საპნის ბუშტი გასკდა.**

მეკლენბურგის ლანდტაგმა უნდობლობა გამოუცხადა პრემიერ ბრენდერშტეინს, რომელიც მოხდა ტევტონთა პარტიის წინადადებით კომუნისტებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას და ამნაირად ბრენშტეინის ნაციონალისტური კაბინეთი დაეცა.

---

# ცირკულიარი.

## რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტმა

ყველა ც. კ. და საოლქო კომიტეტებს მიმართა შემდეგი შინაარსის ცირკულიარით:

ვინაიდან 1902 წ. დაბადებულ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა საორგანიზაციო მუშაობა ადგილებში უკვე დაიწყო, ამიტომ აგიტპროპი ა. კ. ს. კ. ამ წერილით მიაქცევს ყურადღებას, რომ სასწრაფოდ იქნეს გატარებული საგიტაციო კამპანია. კამპანიის გატარების დროს ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული შემდეგ მომენტებზე:

1. გააცნოთ მშრომელ მოსახლეობას წითელი არმიის მნიშვნელობა და მისი ამოცანები, ყოველ მხრივ გააშუქეთ შეიარაღებულ ძალის აუცილებელი საჭიროება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დასაცავად.

2. შექმენით საზოგადოებაში აღტკინება მობილიზაციის სასარგებლოდ და ჩაუნერგეთ რომ თავის დროზე აუცილებლად ყველა გასაწვევი გამოცხადდეს.

3. მოაწყვეთ ჯგუფობრივი და ინდივიდუალური ბაასები შემდეგ თემებზე: ა) რისთვის გვჭირია ჩვენ წითელი ჯარი და რატომ მუშა და გლეხმა უნდა გაგზავნოს თავისი შვილები წითელ ჯარში; ბ) რა გააკეთა წითელმა ჯარმა მუშებისათვის და გლეხებისათვის; როგორ უნდა ზრუნავდეს გლეხობა წითელ ჯარზე; გ) რას მოელის წითელი ჯარი მოსახლეობისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილი თემები გატარებულ იქნას სამკითხველო-ქოხებში, იქვე მოეწყოს ხმა მაღლა გაზეთების და ბროშურების კითხვა გაწვევის შესახებ.

4) ჯარში გაწვევის მომენტიდანვე განავითარეთ აგიტაცია პლაკატების საშვალებით, პლაკატები უნდა დასურათებული იქნეს და მოძრავი, აგრეთვე აგიტაცია უნდა ხდებოდეს ყველა თვალსაჩინო ადგილებზე ლოზუნგებისა, მოწოდებების და სხვა ასეთი ფურცლების გაკვრით.

5) გასაწვევ ადგილებზე გამოცხადების წინა დღით მოეწყოს ოედანებზე მიტინგები მოსახლეობისათვის და აგრეთვე გასაწვევ ახალგაზრდათა დემონსტრაციები წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით.

გაწვეულთა მისადებ ადგილებზე გამგზავრების წინ სასოფლო და თემთა რწმუნებულები ყველა ორგანიზაციებთან ერთად აწყობენ საზეიმო სხდომებს, სადაც წარმოითქმის გასამგზავრებელი ხასიათის სიტყვები, სდგება ნაკაზი მშრომელი გლეხებისაგან გაწვეულთადმი, გაწვეულების ფიცი მშრომელ მოსახლეობისადმი.

მთელი ამ ორგანიზაციული მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე შემდგარი არიან სამეულები, რომელშიდაც შედიან სამხედრო კომისარიატის, არმიისა და ცეკას წარმომადგენლები, რომლებიც თავის მხრივ კავშირში შედიან პოლიტგანათლების ორგანოებთან, ახკომკავშირთან, ქალთა ორგანიზაციის განყოფილებებთან, პროფკავშირისა და რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირებთან. ეს კომისიები ამზადებენ მთელ საგიტაციო მასალების საჭირო რაოდენობას როგორც: საუბრის და მიტინგების ჩასატარებელი თეზისები, ფურცლებს მოსახლეობისა და გაწვეულთათვის, ლოზუნგებს, პლაკატებს, გაზეთებს, ჟურნალებს და ბროშურებს მათი ადგილებზე მოხმარების მიზნით.

იქონიებენ რა კავშირს ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან კავშირს ხელს შეუწყობენ კამპანიის ჩატარებას პრესის საშვალებით.

მთელი საგიტაციო მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე საჭირო მუშაობაში ჩათრეული იქნენ კომპარტიისა, კომუჯრედებიდან და ახკომკავშირიდან სასოფლო საბჭოები და სოფლის ყველა კულტურული ძალები.

დედანს ხელს აწერს: ამიერკავკასიის რ. კ. პ. მდივნის და აგიტპროპის მოადგილე.

# ლოზუნგები.

**ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა კამპანიის ჩატარებისათვის.**

1 ყველა ჯარში გასაწვევ 1902 წ. დაბადებულნი ახალგაზრდები—წითელ ჯარის რიგებში.

2 სუყველაფერი—ს. ს. ს. რ. დასაცავად.

3 სუყველაფერი—ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად,

4 ჩვენს რიგებში დეზერტიროზას არ აქვს ადგილი.

5 შევასრულოდ ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. ლენინის ანდერძი, მტკიცედ ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე.

6 ამიერ კავკასიის მუშებო და გლეხებო, დაიცავით თქვენი მონაპოვარნი. ბაქოს ნავთი და ჭიათურის შავი ქვა—ეს გემრიელი ლუკმაა საერთაშორისო მტაცებლურ კაპიტალისთვის.

7 გაუმარჯოს წითელ ჯარს—საერთაშორისო იმპერიალიზმის თავზარ დამცემს, მეგობარს და დამცველს მშრომელ ხალხისას!

8 გაუმარჯოს მუშების და გლეხების წითელ ჯარს!

---

# საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

### 7 მაისის დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია. სარევიზიო კომისიის სახელით მოკლე საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს ამხ. ვაშაკიძე.

**კამათი ცეკას ანგარიშის შესახებ.**

შემდეგ იწყება კამათი ცეკას მუშაობის შესახებ. სიტყვით გამოდიან ამხ. ნ. ცერცვაძე, კ. ცინცაძე ვ. სტურუა, ა. გეგეჭკორი, ლაგაზიძე, სვანიძე, ჯანგველაძე, ყურულაშვილი და ლაკობა.

### 7 მაისის საღამოს სხდომა.

ცეკას მუშაობის შესახებ საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდენ ამხ. ურუშაძე, ელენტი, ორჯონიკიძე და ფ. მახარაძე.

ყრილობა განსაკუთრებული აღტაცებით და ოვაციებით ხვდება ამხ. სერგო ორჯონიკიძის და ფილიპე მახარაძის განცხადებას პარტიის მთლიანობის შესახებ.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის მომხსენებელი ამხ. ბ. ლომინაძე, რომელიც უმთავრესად ჩერდება წითელ ჯარში პოლიტიკურ მუშაობის დეფექტებზე, ჩვენი მრეწველობის და ვაჭრობის სუსტ მხარეებზე, ადგილებთან დამოკიდებულებაზე და შინაპარტიულ მდგომარეობაზე.

ამხ. ივანოვის წინადადებით ცეკას მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა მოკლე რეზოლიუცია, რომლითაც ყრილობა იწონებს ცეკას პოლიტიკას და სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნობს მის ორგანიზაციულ მუშაობას.

საბოლოო რეზოლიუციის დეტალურათ გამომუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

**ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობა.**

(მომხსენებელი ამხ. შ. ლეჟავა)

ამის შემდეგ ყრილობა ისმენს მოხსენებას ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციებში მიმდინარე წლის დასაწყისამდე ითვლებოდა 11618 კაცი, მათ შორის 10942 პარტიის წევრი და 676 კანდიდატი.

სოციალური შემადგენლობა პარტიისა იყო შემდეგი: 64,2 პროც. მუშები, 14,8 პროც. გლეხები, 18,3 პროც. მოსამსახურეები, 2,7 პროც. დანარჩენი.

ეროვნული შემადგენლობა: ქართველები 7,584, სომხები 836, რუსები 977, ოსები 286, თათრები 104 და სხვა 105.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საკონტროლო კომისიის შემადგენლობის და მის წევრთა სტაჟის აღნიშვნაზე. შეჩერდა კომისიის მუშაობის პირობებზე, აღნიშნავს კომისიის მჭიდრო კავშირს ადგილებთან, რაც უადვილებდა მას მუშაობას.

კომისიას უხდებოდა ბრძოლა ყოველგვარ გადახრასთან, განსაკუთრებით ეროვნულ ნიადაგზე,; ველიკოდერჟავნიკული და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მასვე უხდებოდა ფუფუნებასთან ბრძოლა და ამ მუშაობაში ის სარგებლობდა პარტიის წევრთა და მთელი მუშათა მასის დახმარებით, ჩამორთმეულ იქნა ავტომობილები როგორც ცენტრში ისე ადგილებში და სხვა ამ ხნის განმავლობაში კომისიის მიერ პარტიიდან გარიცხულია 45 კაცი, ესე იგი წევრთა 2,2 პროც., გაკიცხვა გამოეცხადა 171 კაცს, 12 კაცი დაბრუნებულ იქნა თავის ხელობაზე, წარმოებაში.

მთავარ ყურადღებას საკანტროლო კომისია აქცევდა პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანოების შესწავლას, რათა გაეწმინდა ეს ორგანიზაციები ზედმეტ და უვარგისი ელემენტებისგან.

სახელმწიფო აპარატის გარდაქმნაში გადახალისებაში თუმცა მიღწევები არის, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა შესასრულებელი.

მომხსენებელს შემდეკ მოყავს ციფრით ცნობები კომისიის მუშაობის შესახებ, სხვა და სხვა დანაშაულობათა რაოდენობის აღრიცხვით.

მომხსენებელმა მრავალი მაგალითები და საილიუსტრაციო ციფრები მოიყვანა პარტიიდან გარიცხულების და დასჯილების შესახებ და დასასრულ წაიკითხა საკონტროლო კომისიის რეორგანიზაციის წერილობითი პროექტი.

**ყრილობის მისალმებანი,**

სხდომის დახურვისას ამხ. გ. სტურუა კითხულობს მისასალმებელ დეპეშების ტექსტს.

**ერევანი, სომხეთის კომპარტიის ცეკას.**

კომუნისტური პარტიის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა მხურვალე სალამს უგზავნის სომხეთის მოძმე კომუნისტურ პარტიას და ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ის შესძლებს გააერთიანოს ერთ ძმურ ოჯახში სომხეთის მუშები და გლეხები საბოლოო გამარჯვებისათვის ყველა ფრონტებზე.

ყრილობა აუცილებლად სთვლის პარტიის სრული მთლიანობის უზრუნველყოფას, როგორც აუცილებელ პირობას საბჭოთა კავშირის საერთაშორისო რევოლიუციის ამ დასაყრდენის გასამარჯვებლად.

გაუმარჯოს სომხეთის კომუნისტ. პარტიას.

**აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის მე 6 ყრილობას.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობა მხურვალეთ ესალმება აზერბეიჯანის მოძმე კომუნისტური პარტიის ყრილობას, იმ პარტიის ყრილობას, რომლის რიგებში ითვლება ბაქოს სახელოვანი ორგანიზაცია. ბაქოს პროლეტარული ორგანიზაციის 25 წლის ბოლშევიკური გამოცდილება მტკიცე საწინდარია იმის, რომ საბჭოთა ამიერკავკასია არასოდეს არ გადაუხვევს ლენინის გზას.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას!

### 8 მაისის დილის სხდომა.

დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი საკანტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამხ. ბ. ლომინაძე და კ. ცინცაძე.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელი ამხ. ლეჟავა პასუხს აძლევს წერილობით შეკითხვებს და აგრეთვე ორატორების შენიშვნებს.

მიღებული რეზოლიუციით საკანტროლო კომისიის მუშაობა ყრილობის მიერ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ მოხსენებით ჩვენი ეროვნული პოლიტიკის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე რომლის დაწვრილებით ანგარიშს მოვათავსებთ.




## სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

ახმაურდა მიძინებული სკოლის შენობა. დაუბრუნდნენ ბუდეს დროებით დასასვენებლად წასულნი კურსანტები.

ყიჟინა, ჟრიამული, სიმღერაა, ყველაფერი გამოცოცხლდა.

— ჰაა, ვასისს გაუმარჯოს ვასოს!—ესალმებიან დაგვიანებულ ამხანაგს, ართმევენ ხელს და აძლევენ ათას კითხვებს.

— მე ჩემ სოფელში ღმერთი ავაფეთქე, ამბობს ერთი, დავდგი ანტირელიგიური პიესა, მღვდელი სულ წვერს იგლეჯდა. და უამბობს ამხანაგებს, თუ როგორ ააფეთქა მან ღმერთი.

იქ მეორე უამბობს ამხანაგებს თავის შთაბეჭდილებას მოგზაურობიდან სოფელში, უზიარებენ ერთი მეორეს აზრებს, შთაბეჭდილებებს.

უშედეგოთ არ ჩაუვლია კურსანტების სახლში ყოფნას, უაზროდ არ გაუტარებიათ დრო დასვენებისა, გაუკეთებიათ საქმე, პატარა მაგრამ შესამჩნევი საქმე; ზოგს დაუდგავს პიესა, გაუმართავს გასამართლება, საღამო და სხვა ამ გვარი.

— დავისვენეთ და ეხლა შევუდგეთ სწავლას. პირველი ტრიმესტრი დავასრულეთ წარმატებით, მეორეს დავაგვირგვინებთ უფრო დიადი გამარჯვებით. და მართალია: თუმცა სწავლა ჩვენ კურსანტებს უხდებოდათ აუტანელ პირობებში: სიცივე, უბინაობა, სახელმძღვანელოების უქონლობა, მაგრამ გამოცდები დიდებულათ ჩააბარეს.

გაუმარჯოს მათ ენერგიას.

**ე. ხუციშვილი.**

## ქ. მ. დ. ცენტ-კლუბში.

8 მაისს გაიმართა საღამო-წარმოდგენა საქციზო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისთვის.

საღამო მოეწყო ამავე დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ძალებით, უფასოდ, რომელსაც დაესწრენ ჩვენი მოლაშქრენიც.

დაიდგა: 1. „ოთხი იმერელი“ 2. „სოფლის ფერშალი“, 3. მუსიკალური განყოფილება, სადაც საკუთარის ძალებით შესრულებულ იქნა რამდენიმე ნომერი (როიალი, სკრიპკა, ვიოლონჩელი) და ლექსთა თქმა.

შემდეგ გაიმართა „კონცერტი სახელმწიფო ოპერის მსახიობთა, ექსანიშვილის და რუდენკოს მონაწილეობით. (დუეტი, სოლო, „აბესალომ ეთერიდან“ და სხვა.

და ცეკვა ოპერის თეატრისავე მსახიობთა შესრულებით.

უკრავდა სამხედრო მუსიკა.

საღამოთი ყველა კმაყოფილი დარჩა.

კარგია, რომ ხშირად იმართებოდეს ასეთი საღამოები, რომელიც აახლოვებს მუშებს და წ. არმიელებს.

**ს—ნ.**

## ჩვენს სამხედრო კოოპერატივში.

აგერ ერთი წელიწადია რაც ჩვენს ნაწილში დაარსდა კოოპერატივი, უნდა აღინიშნოს, რომ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ჩვენმა კოოპერატივმა გაამართლა ყველა ის ამოცანები, რაც დასახული აქვს მიზნათ საბჭოთა ხელისუფლების დროს კოოპერატივებს. კოოპერატივში ჩვენი წითელ არმიელები და უფ-შემადგენლობა ყოველთვის ჰშოულობენ აუცილებელ საჭირო საგნებს ხელსაყრელ ფასებში. ამ უკანასკნელ ხანებში უფ და პოლიტ შემადგენლობას ჯამაგირები თითქმის აქვე იხარჯება სხვა და სხვა საოჯახო საჭირო საქონელის შეძენისათვის.

აპრილს შესდგა ასეულის საერთო კრება სადაც კოოპერაციის მნიშვნელობაზე, ილაპარაკა ამხ. მაჩიტაძემ, რის შემდეგ ამორჩეული იქნა დელეგატი დივიზიის კოოპერატიულ ყრილობაზე დასასწრებლათ, მე უსურვებ ის ნაკლი თუ რამე იყო ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ კოოპერატიულ საზოგადოებაში გამოსწორებულიყოს და მომავალში გაღრმავებიოთ, გაეორკეცებიოთ მუშაობა ჩვენი წითელ ჯარის სასარგებლოთ.

**სვირელი.**

## ჩვენი კედლის გაზეთები.

**„წითელი ლაშქრელი“** (პირველ ლეგიონის ორგანო საზეიმო №).

პირველ ლეგიონის კედლის გაზეთებს ყოველთვის საპატიო ადგილი ეჭირა ჩვენი დივიზიის კედლის გაზეთებში და ამ ნომერზეც მხოლოდ ამის თქმა შეიძლება.

გაზეთი მოზრდილი ფორმატისაა, და მოთავსებულია შიგ წერილები: „დიადი დღე“—წ. არ. 6 წ. თავზე, —ბახიასი. 3 წ. თავზე საქ. გასაბჭოებაზე—რუსიეშვილისა.

შემდეგ პოეზია: „ვზეიმობთ“—ლექსი ალტანისა, „აღდგომა“—ლექსი ალიოშასი. შემდეგ მიდის „ჩვენი ყაზარმა“—წერილი კაცაძესი, „გასაბჭოების სამი წ. თავზე“—გოჩელაშვილისა, „კლუბი“—წ. არ. 6 წ. თავი და წ. არმიელთა ბიბლიოთეკა—მეთვალყურესი და ბოლოს „იუმორი“—ზიპოსი. აქვე მაკდონალდის და მუსოლინის კარიკატურები, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან საბჭოთა კავშირის ადრე ცნობაში—„არა მე ვიცან ადრე და არამეო“.

თავში ლამაზი სურათებია: მარცხნიდან გამარჯვებული წითელი ლაშქრელი შემდგარა დამარცხებულ მტრებზე და სიხარულით გასცქერის განთავისუფლებულ ქვეყანას, მარჯვნით ქართველი გლეხი და ქალი სამი წლის თავზე ამომავალ წითელ მზის სხივებს შეჰხარიან და ზეიმობენ საქ. გასაბჭოების დღეობას, შეჰხარიან წითელ არმიელს 6 წ. გამარჯვებებით თამამად გამომყურეს.

ნომერი დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს და ამავე ლეგიონის № 25 გაზეთის შემდგომ პირველი ადგილი უჭირავს.

სალამი ჩვენი მოლაშქრეების შემოქმედებას!

**სანი.**

## ახალი ამბები

— **სხივებით ექიმობა.** ცხადდება ცნობათ, რომ ელექტრონული სხივებით ექიმობა ამიერიდან იწარმოებს როგორც საღამოობით, აგრეთვე დილაობითაც.

— **მუშების წვლილი.** ბეჭვდითი კავშირის ადგილკომმა გადასწყვიტა თავის წევრებს შორის შეაგროვოს წვლილი ინვალიდების დასახმარებლათ.

— **ობლები ტ ინვალიდები.** ოზურგეთის მაზრაში აპრილის განმავლობაში აღრიცხვაზე იქნა აყვანილი 10 ინვალიდი და დახმარება გაეწია ობლებს და ღარიბებს 413 მანეთით.

— **საავათმყოფოს შეკეთება** რესპუბლიკის მთავარ საავათმყოფოს საფუძვლიანი შეკეთება უკვე დაიწყო, შეკეთება ისე იწარმოებს, რომ იგი ხელს არ შეუშლის ავათმყოფების მიღების საქმეს.

— **გლეხკომების ყრილობები** ამჟამათ საქართველოს მაზრებში მიმდინარეობენ გლეხკომების სამაზრო ყრილობები, რომელთა დასრულების შემდეგ მოწვეულ იქნება სრულ. საქ. გლეხთა კომიტეტების ყრილობა.

— **ახალი საზოგადოება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა განიზრახა დაარსოს სულით ავათმყოფთა დამხმარე საზოგადოება.

— **ტელეფონების ნიხრი.** ფ.-ტელეგრ. სამმართველომ გამოიმუშავა ტელეფონებით სარგებლობის ახალი ნიხრი, რომელიც გამოქვეყნდება უახლოეს ხანში,

— **შუამდგომლობა.** ქუთაისის მაზრის შრომის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მასწავლებელთა სავალდებულო შრომის ბეგარიდან განთავისუფლების შესახებ.

— **შემოსავლის გადაცემა.** ქუთაისის გლეხკომს გადაეცა სოფ. მალაკში არსებული საბჭოთა წისქვილებიდან მინდის სიმინდის შემოსავალი.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 8 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 90 კაცი. ახლათ ჩაეწერა 70 უმუშევარი.

## ხელოვნება

— **ქართულ დრამაში.** კვირას სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნება პირველათ ქართულ სცენაზე, ს. შანშიაშვილის პიესა „სპარტაკი“.

— **მოხსენება თეატრზე.** 12 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დისპუტი თეატრის შესახებ, კამათში მონაწილეობას მიიღებენ ი. გომართელი, შიუკაშვილი, ა. ფაღავა და სხვები.

— **ლენინის ნაწერები.** უკვე შეუდგნენ მუშაობას ლენინის ნაწერების გამოსაცემათ ქართულ ენაზე. ნაწერები გამოვა 25 ტომათ.

— **შ. დადიანის იუბილე მოსკოვში.** 14 მაისს მოსკოვში სამხატ. თეატრის მესამე სტუდია უმართავს შალვა დადიანს საპატივსაცემო საღამოს. წავლენ პიესები „გუშინდელნი“, „გვგეჭკორი“ და სხვა. მონაწილეობას ღებულობენ დები მესხიშვილები, წუწუნავა და მოსკოვში მყოფი სხვა ქართველი არტისტები. საღამოზე სიტყვას იტყვის გრ. რობაქიძე.

თავმჯდომარეობას გასწევს სუმბათაშვილ-იუჟინი.

# მოწოდება.

## ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობისადმი.

ამხანაგებო! ამ მოკლე ხანში მუშურ გლეხური საბჭოთა მთავრობა გიწვევთ თქვენ წითელ ყაზარმებში მომავალ განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მოსამზადებლად. წითელი არმია, რომელიც დაიბადა და გაიწვრთნა სამოქალაქო ომში, მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლაში, შესდგება მუშების და გლეხების შვილებისაგან. მუშურ-გლეხურ მთავრობას დაიცავს მხოლოთ—მისი დასაყრდნობი ძალა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. წითელმა არმიამ—შეგნებულმა დარაჯმა, ოქტომბრის რევოლიუციის, ნივთიერათ ლატაკმა, ნახევრად მშიერმა შესძლო გადაელახა შემოტევა მსოფლიო კაპიტალის, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლებას განადგურებით. წითელი არმია, რომლის რიგებს ავსებდა და ავსებს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, შეიქმნა ის სალი კლდე, რომელზედაც სასიკვდილოთ ეხეთქებოდა საერთაშორისო იმპერიალიზმი. წითელი არმიის გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ არის შემთხვევითი, არამედ შეგნება რწმენა და თავდადება მუშათა კლასის გამარჯვებისათვის—აი რას მიყავდა რევოლიუციონური მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა გამარჯვების გზაზე.

წითელი არმიის თავდადებული ბრძოლით, დაუძინებელი დარაჯით კაპიტალის შემოტევისაგან ჩვენ დავამყარეთ საბჭოთა ხელისუფლება—პირველი ძალაუფლება მუშების და გლეხების მთელ მსოფლიოში. წითელი არმიის საშვალებით მუშურ-გლეხურმა მთავრობამ შექმნა უძლეველი კოშკი—კომუნიზმის შენების. მთელი დედა-მიწის ერთი მეექვსედი ნაწილზე—სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. აი ამ შრომის სამეფოს დღეს ერთგულად დარაჯობს წითელი არმია მტრების შემოტევისაგან და საშვალებას აძლევს მუშებს და გლეხებს მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობისთვის. საბჭ. რესპუბლიკები გარშემორტყმულია უძლეველი ციხე სიმაგრით—წითელი ჯარით და ამ სიმაგრეზე დამოკიდებულია ჩვენი მომავალი მშვიდობიანი ცხოვრება და აღმშენებლობა. დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იმყოფება დროებითი დასვენების პერიოდში, ერთ-ერთი იმედი და დასაყრდნობი ძალა არის წითელი არმია. მსოფლიო ბურჟუაზიას, რომელიც გარშემორტყმულია ჩვენს ირგვლივ არ სძინავს, მთელ ევროპაში და სხვა ქვეყნებში გაისმის იარაღის ჟღარუნი, სამხედრო მზადება, რომ ერთხელ კიდევ ჩააბას მსოფლიო პროლეტარიატი განმანადგურებელ ომში. ბურჟუაზიის შეშურს ჩვენი—მუშების და გლეხების შრომის სახელმწიფოსაბჭოთა რესპუბლიკები და არ დააყოვნებს, რომ შერჩეულ დროს თავს დაგვესხას. იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირის ცნობა, სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ მომავალში საფრთხე არ მოგველის. ამავე დროს მსოფლიო ბურჟუაზია ამზადებს და ანვითარებს სამხედრო ტეხნიკას (მახრჩობელი გაზი, ტანკები ჯავშოსნები და სხვა), აძლიერებს და ამრავლებს ჯარს. ყველაფერი ეს შერჩეული დროს იქნება მომართული ჩვენს წინაალმდეგ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასანგრევათ.

ბურჟუაზიას ყავს ჯარი ძალით შეკრებილი—ბრმა დისციპლინით, ძალით დამორჩილებული. წითელი ლაშქარი კი შეგნებულია პოლიტიკურად, კულტურულად და გამობრძმედილი დარაჯია მუშათა კლასის.

წითელი ყაზარმა—სკოლაა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის. ის ზრდის არა მარტო შეგნებულ მებრძოლებს, ერთგულ დარაჯებს საბჭოთა რესპუბლიკების, არამედ საუკეთესო მშენებლებს მომავალი შრომის სამეფოს-კომუნიზმის. წითელი არმია, იმიტომ არის ძლიერი სამხედრო, კულტურულ და ეკონომიური ფრონტებზე, რომ მას ზრდის წითელი ყაზარმა.

ამხანაგებო! აი ამ ყაზარმაში შეგნებულად, უკან დაუხევლად უნდა მოიყაროთ თავი და შეასრულოთ ის დიდი მოვალეობა, რომელიც დაკისრებულია თქვენზე მუშათა კლასის მიერ. არც ერთი პატიოსანი ახალგაზრდა, რომელსაც კი უცემს გული რევოლიუციონური ბრძოლის, არ უნდა დაემალოს ამ ყველაზე უწმინდეს მოვალეობას და ყველამ უნდა მიაშუროს საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოსკენ, რომ მით დაუმტკიცოთ ბურჟუაზიას და ყველა ჯურის ანტი-საბჭოთა ელემენტებს, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ყოველთვის იქნება შეგნებული და ერთგული დარაჯი საბჭოთა მთავრობის.

კომუნისტური კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას, გაგიძღვებათ წინ ამ მოვალეობის ასრულებაში.

მშრომელო ახალგაზრდებო! ამ უდიდესი მოვალეობის ასრულება მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე, იქნება თავდები საბჭოთა ხელისუფლების მთელი მსოფლიოში გამარჯვების.

გაუმარჯოს თქვენს შეგნებულ დარაზმვას წითელ არმიის რიგებში!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მხნე დარაჯს—წითელ არმიას!

კომუნისტური კავშირი გიძღვნით მხურვალე სალამს!

ს. ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წითელ-არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, როგორც უსაჭიროესი და აუცილებელი მოვლენა სალი კაცობრიობის არსებობისა, ყველა ერების ცხოვრებაში, უძველეს დროიდანვე შეადგენდა ერთს უდიდეს და პირველ რიგის საკითხს; სწორედ ამ საკითხის დიადი მნიშვნელობით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მიმართული იყო მისკენ კაცობრიობის ყველა ისტორიულ ხანაში.

თვითეულ ერის საკანონმდებლო დებულებებში აღნიშნულია კანონის უმრავლესი მუხლები ხალხის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და მასთან განმარტებულია მრავალგვარი დარიგება—თუ როგორ უნდა მოიქცეს ყოველი მოქალაქე, რომ ხელი შეუწყოს ხალხის ჯანმრთელობას; მოყვანილია აგრეთვე ის კანონებიც, რომლის ძალითაც დაისჯება ყოველი ის მოქალაქე, რომელიც ხელს შეუშლის ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ ამ საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია და აკი ჩვენც ვართ ცოცხალი მოწამენი იმისა, რომ მთავრობამ და კერძოდ ქალაქ თბილისის საბჭომ ხალხის ჯანმრთელობის დაცვა—განვითარება პირველ რიგში დააყენა და თავის სანუკავ საკითხად გადააქცია. (როგორც ადგილობრივი გაზეთები გვამცნობენ მთავრობა ახლო მომავალში თვით იღებს თავის თავზე მცხოვრებთათვის ხორცეულობის დამზადებას და მიწოდებას). ეს ასეც უნდა მომხდარიყო—თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ უჩინარ მტრებს, რომელნიც ადამიანს ახვევია გარშემო და რომელთაც უწოდებენ, სხვა და სხვა სენის მიხედვით, **ბაცილებს და ბაქტერიებს.** ბაცილები და ბაქტერიები ისეთი წვრილი და პატარა არსებანი არიან, რომ თუ ძალიან გამადიდებელი შუშით (ამ შუშით გასაშინჯ მანქანას ეძახიან მიკროსკოპს) არ გაიშინჯა, ისე უბრალო თვალით, იგინი ვერ დაინახებიან.

ბაქტერიული მეცნიერების გამოკვლევით ჩვენ ვიცით, რომ ჰაერში, წყალში, ტალახში, თოვლ-ჭყაპში, სანოვაგეში, ხორცეულობაში და სხვა. მრავალგვარი, ხალხისათვის მავნე, თვალით დაუნახავი „ბაცილები და ბაქტერიები“ იმყოფებიან, და როდესაც ეს თვალით უჩინარი არსებანი ადამიანის სხეულში შედიან, სხვა და სხვა გზით და საშუალებით, ადამიანი ავად ხდება და კვდება. ზოგიერთი ბაცილები თავიანთ სიცოცხლის გასაგრძელებლად და სიცხე—სიცივისაგან თავდაცვისათვის ქურქს ისხამენ,—ამ ქურქს მეცნიერულად „სპორებს“ ეძახიან; ამისთანა ქურქს—(სპორებს) ისხამენ, მაგალითად „ციმბირის წყლულის“ ბაცილები და ამიტომ ეს სენი დიდს საშიშროებას წარმოადგენს, როგორც ცხოველებისთვის, ისე ადამიანისთვის; ამ სენზე ჩვენ შემდეგ—ცალკე წერილებში გვექნება საუბარი უფრო ვრცლად.

ყოვლად უმწეო და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებოდა მთელი კაცობრიობა, რომ ზემოთ აღნიშნული უჩინარი მტრები მარტო აღმოეჩინათ და მათი თავიდან ასაცილებლად საჭირო და შესაფერისი ზომები არ ეხმარათ.

აი სწორედ ამნაირ ზომებს ჩვენ გვაძლევს და მათკენ მიგვითითებს მეორე მეცნიერება, რომელსაც ჰქვიან „ვეტერინარია“. ეს მეცნიერება გარდა ცხოველებზე მზრუნველობისა, ჩვენ გვასწავლის, რომ ადამიანის ცხოვრებაში საჭიროა მიღება იმისთანა წინასწარი ზომებისა, რომელნიც არ შეუშვებენ მის ჯანში ამა თუ იმ სატკივრის „ბაცილებს და ბაქტერიებს“.

იგივე მეცნიერება თვალნათლად გვიმტკიცებს, რომ აღნიშნულ მიზნის მისაღწევად ყველაზე უფრო საჭიროა მიწოდება ხალხისადმი სალი სასმელ-საჭმელისა საზოგადოდ და კერძოდ სალი ხორცეულობისა. აი სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევისათვის ქვეყნებში აარსებენ, კარგს და შესაფერ სასაკლაოებს, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ სადგურებს, სადაც ვეტერინალური ექიმები წინასწარ შინჯავენ დასაკლავ საქონელს, როგორც სიცოცხლით, აგრეთვე დაკვლის შემდეგ, რომ არამც და არამც ხალხის საჭმელ ხორცეულებაში არ გაიპაროს მისთვის მავნე „ბაცილები და ბაქტერიები“

ამ მხრივ ვეტექიმები წინასწარ ჰკვეცენ ამა თუ იმ სატკივარს, ხალხის ექიმები კი უკვე ავად გამხდარ ადამიანს არჩენენ; აქედან აშკარაა თუ რა დიდი მოვალეობა და სიძნელე აწევთ ვეტერინალურ ექიმებს ქალაქ თფილისის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვა-მზრუნველობა აღნიშნული საშუალებებით ამ ჟამად კარგათაა მოწყობილი.

საქმე იმაშია, რომ რაც გინდა კარგი, სალი ხორცი გამოუშვა სასაკლაოდან, თუ ეს ხორცი, გადაზიდვის დროს, მტვრისაგან, ტალახისაგან, წვიმისაგან და თოვლ-ჭყაპისაგან არ არის დაცული და დაფარული, მაშინ ყოველივე წინასწარი შრომა ამაოდ ჩაითვლის, რადგანაც ის „ბაცილები და ბაქტერიები“, რომელნიც მრავლად იმყოფებიან ზემოთ ჩამოთვლილ თვისებების ნიადაგში, გადავლენ ხორცზედ და მერე, გაყიდვის შემდეგ, მცხოვრებლების გვამშიაც შევლენ და მით მის დაავადმყოფებასაც გამოიწვევენ.

რა გზით უშველოთ ხალხის ჯანმრთელობის საქმეს? ამ კითხვების გადასაწყვეტად, გარდა იმ საშუალების ხმარებისა, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, საჭიროა შენის თვალით ნახო, რაში და როგორ იტვირთება და რა გზით გადმოაქვთ სასაკლაოდან იარმუკის ხორცით სავაჭრო დუქნებამდე ნედლი ხორცეულობა. აქ თქვენ დაინახავთ მშვენივრად მოწყობილ, შიგნით მოცინკულ, ტრამვაის ვაგონებს, რომელნიც, ხორცით დატვირთვის შემდეგ მაგრა ჩაკეტილ კარებებით, მოსრიალებენ რკინის გზის ლიანდაგით სასაკლაოდან—იარმუკამდე. ეს ის საშუალებაა, რომელიც უზრუნველ გვყოფს.

ყველა სოფელში, რასაკვირველია, ძნელია სასაკლაოების აშენება, მით უფრო ვერ ვიოცნებებთ ტრამვაის გაყვანაზე, მაგრამ იმ ცენტრალ-საადმინისტრაციო დაბებში კი, სამაზრო ქალაქებში მით უმეტესად, სადაც ყოველ დღიური, ან პერიოდიული ბაზრობა სწარმოებს, საჭიროა საქონლის დაკვლა სწარმოებდეს ერთს, სოფლის მოშორებით, ამორჩეულ ადგილას, საჭიროა დასაკლავი საქონელი იშინჯებოდეს. ვეტ-ექიმების მიერ და საჭიროა თვით ხორცი იზიდებოდეს დუქნებამდისინ მოცინკული ტაჰკა-ფურგუნებით და მასთან დიდი ბრეზენტის გადახურვით.

ამ დიად საქმეში შენ, წითელ-არმიელო, მთელის შენი შეგნებით, მთელი ძალღონით უნდა დაეხმარო საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს; უნდა შთააგონო შენს მეზობლებს—გლეხებს ზემოდ აღნიშნული საშუალებების ცხოვრებაში გატარების საჭიროება და სარგებლობა, ვინაიდგან ამ საშუალებების განხორციელებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რაც მთელი კაცობრიობის დიდი ხნის სანუკავ და სანატრელ მიზანს შეადგენს, ესე იგი—ჩვენ შევიქნებით მოწმენი სალი და მძლავრი შთამომავლობისა.

**ბასრი.**

## სამეურნეო განყოფილება.

**სამკურნალო მცენარეები.**

**ლემა (ქვეყნის გული).**

ამ მცენარეს ყველგან კარგათ იცნობენ. ის ძალიან ბევრი იზრდება ნაგვიან უსუფთაო ადგილებში.

ლემა ერთ წლიანი მცენარეა, იზრდება 1—1 ნახევარ არშინის სიმაღლეს და თავისი მსხვილი ტოტებით ბუჩქს წააგავს. ლემას აქვს დაკბილული ბრტყელი ფოთლები და თეთრი ზარისებრივი ყვავილები.

ამოდის ლემა ადრე გაზაფხულზე და ყვავილობის შემდეგ ისხამს მრავალ ბურძგებიან ნიგვზის ოდენა ნაყოფებს. ნაყოფი სავსეა პატარა თესლებით.

მცენარე შეიცავს საწამლავს და ამიტომ მას ძალიან ფრთხილათ უნდა მოვეპყროთ.

ლემას თავისებური უსიამოვნო სუნი აქვს.

ის ხშირათ და ბევრი იზრდება ლობიოს-ძირებში, ბოსტანში, ბაღების საზღვრებზე და სხვა მოუხნავ ადგილებზე.

ძალიან უყვარს კირიანი ნიადაგი.

სამკურნალოთ ხმარობენ ლემას გამხმარ ფოთოლებს და დამწიფებულ თესლებს.

გამხმარი ფოთოლი უსუნოა და აქვს მომჟავო მარილიანი გემო. ფოთლები უნდა შევაგროვოთ აყვავებულ მცენარეებისაგან მაისში და ივნისში.

გერმანიაში ლემას მინდორში სთესავენ და ზაფხულის განმავლობაში 3—4 ჯერ ჰკრეფენ.

გამხმარი ფოთლები ინახება ერთ წელიწადს და შემდეგ ჰკარგავს თავის სამკურნალო თვისებებს.

შემოდგომაზე მწიფდება ლემას ბურძგებიანი ნაყოფი და იქიდან სცვივა წვრილი შავი ფერის თესლი. თესლიც სამკურნალო მასალას იძლევა.

ნაყოფები უნდა შევაგროვოთ სანამ იქიდან თესლი გამოცვივდებოდეს. შეგროვებული ნაყოფი უნდა გაიშალოს ფარდაგზე ან სხვა რაიმე ტილოზე მშრალ სარდულიან ქარ გამკრავ ადგილას. ის გაშრება და იქიდან გამოცვივდება თესლი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნაყოფის მზეზე გაშრობა არ ვარგა, რადგან თესლი ჰკარგავს თავის სამკურნალო თვისებებს. ლემას ფოთლები და თესლები შეიცავენ ისეთ ნივთიერებებს, რომლებსაც ხმარობენ სხვა და სხვა ნერვების სნეულებათა წინააღმდეგ.

საქონელი ლემას არ სჭამს თუ ის თივაში ბევრი შეერია მაშინ თივა საკვებათ არ ვარგა.

**მეურნე.**

## მეცნიერება და ბუნება

**ობობის ძაფის გამძლეობა.**

პროფესორ მაიტჩელმა აღმოაჩინა ერთი უცნაური მოვლენა. ვინ იფიქრებდა, რომ უბრალო ობობის ქსელის ძაფს ექნება ისეთი გამძლეობა აღმოაჩნდებოდა, როგორც ეს დაამტკიცა მაიტჩელის ცდებმა. მაიტჩელმა მეტად საყურადღებო ცდა მოახდინა ობობის ძაფზე. მის მიზანს შეადგენდა ობობის ძაფის მოქნილობის გამორკვევა. აღნიშნული ძაფი მან მოიხმარა როგორც შუალედი წევრი საქანისა და ელექტრონის ჩქერის შორის. ამ მდგომარეობაში ობობის ძაფი იჭერდა ლითონის ძაფთა მთელ ჯგუფს და წუთის განმავლობაში სწევდა მათ და ისევ უშვებდა ვერცხლის წყლით სავსე ჭურჭელში. მეტის მეტად უცნაური ცნობაა, მაგრამ როდესაც ფაქტტთან გაქვთ საქმე აუცილებლად უნდმ დაიჯეროთ, მით უმეტეს ეს ცდა დააყენა ცნობილ ავტორიტეტიანმა პროფესორ ასტრონომმა. როგორც იუწყება ხსენებული პროფესორი აღნიშნულ ობობის ძაფი ასეთ მუშაობას ასრულებდა თურმე სამი წლის განმავლობაში და ამ ხნის შემდეგაც ის სრულიად დაუზიანებელი და შეუცვლელი დარჩა.

**გეიზერის გამოყენება ორთქლის ქვაბათ.**

ამ უკანასკნელ ხანებში ტეხნიკის დიდი მიღწევებით აღარ კმაყოფილდებიან, და სხვა და სხვა დიდი სამუშაოების შესასრულებლად ბუნების მოვლენათა გამოყენებას მიყვეს ხელი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით წყლისკენ იყო გადადგმული, როდესაც გამოყენებული იქნა ვარდნილი წყლების ძალა. ქარის ძალა ამაზე წინეთ იყო მოხმარებული. ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა მზის ენერგიის გამოყენების საკითხს და მრავალ ტეხნიკურად განვითარებულ ქვეყნებში სათანადო შედეგებსაც მიაღწიეს ამ მხრივ. ეს მეტად მოფიქრებული ხერხია, რადგან დიდი ეკონომია გაწეული ყოველი მხრივ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა გეიზერების გამოყენება, როგორც ორთქლის ქვაბის ფუნქციების (როლის) ამსრულებელი. ეს უკვე არაა თეთრი ნახშირი (წყლის ძალა) ანდა ცისფერი ნახშირი (ჰაერიდან), არამედ სრულიად სხვა ახალი რამ. წარსულ წელში კალიფორნიის (ამერიკა) გეიზერთა ერთი დიდი ჯგუფი იქნა გაბურღვილი და ამნაირად შეუერთეს ორთქლის მანქანის ქვაბს. გეიზერი აძლევს მანქანას 150 ცხენის ძალას, რომელიც ჯერ-ჯერობით ხმარდება სხვა გეიზერთა ჯგუფის გაბურღვას. ამ საქმეზე მომუშავე ინჟენერები იმედს გამოსთქვამენ, რომ გეიზერთა მთელი ჯგუფის გამოყენება მისცემს მათ საკმაო დიდი სიძლიერის ძალას, რომელიც დააკმაყოფილებს გარშემო მდებარე მიდამოების მოთხოვნილებებსო. ამნაირად თუ მზის ენერგიის გამოყენებას ვერ ჰქონდა მუდმივი ხასიათი და დამოკიდებული იყო უშვალოდ ამინდზე, გეიზერის ძალას და მის გამოყენებას მუდმივი ხასიათი აქვს და ის უწყვეტათ იძლევა ენერგიას. ვინ იცის კიდევ კაპიტალისტურ ქვეყნების მოგებით გატაცებული ხალხი, როგორ საშვალებას არ მიმართავს, რომ არც ერთი ბუნების მოვლენა ტყვილა არ დაიკარგოს და გამოყენებული იქნეს სათანადოთ. ამას ამტკიცებს თვით მომქმედ ულკანების ენერგიის გამოყენებაც რომელიც მოახდინეს იტალიაში, ვულკან ეტნაზე.

**შეხ.**

## ცირკულარი.

### № 1.

### ქართული წითელი ლაშქრის მთლიანი საზოგადოების ყველა კოოპერატივების მეთვალყურე კომისიებს.

ამხანაგებო! ქართული წითელი ლაშქრის კოოპერატივის მე-3 რწმუნებულთა ყრილობამ აირჩია ახალი სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისიამ, რომ თავისი მეთვალყურეობა შესაფერის დონემდე განავითაროს, ამისათვის საჭიროა, როგორც პირველად კოოპერატივების მდვომარეობის გაცნობა, აგრეთვე მათი გამგეების და ცენტრალურ გამგეობის მუშაობაზე თვალყურის დევნება და თავის დროზედ დეფექტების აღნიშვნა.

გასული წლის პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ უსათუოთ საჭიროა სარევიზიო კომისიამ გამოყოს ერთი წევრი მუდმივი სამუშაოთ; მაგრამ, თავის თავათ ცხადია ვერც მუდმივ მომუშავეს და ვერც სარევიზიო კომისიას არ ექნება საშუალება, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალყური ადევნოს პირველ დაწყებითი კოოპერატივებს და მათი გამგეების მუშაობას. ამისათვის სარევიზიო კომისია გთხოვთ დაიჭიროთ მასთან უშუალო კავშირი ყოველივე სავაჭრო და საორგანიზაციო საკითხების გარშემო თქვენ მიერ შემჩნეულ დეფექტების შეტყობინებით, რის შემდეგ სარევიზიო კომისიას საშუალება მიეცემა მიიღოს შესაფერი ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერი აპარატის უყოლობის გამო, სარევიზიო კომისია ვერ შესძლებს თავის დროზედ მიაქციოს ყურადღება ამ მხარეებს, რაც საქმეს დიდ ზიანს მოუტანს.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე: **ლ. ჩანტლაძე.**

კომისიის წევრი—მდივანი: **ელ. კალანდაძე.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**